579
1949

ლილა

„აყვავდი, ტურფა ქეთევანავ,
იღხინე, ქართველო, მხარეო,
და შენც, ქართველო, სნაული
სამშობლო გაახარეო.“

1949
№2

დილა

№ 2

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის უოველთვიური ორგანო
საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

თებერვალი
1949

„აუვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ოლხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, ხწავლითა
სამშობლო გაახარეო".

ДИЛА
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არმიელია

საბჭოთა არმიელია
სალ კლდეზე უფრო მაგარი,
დინჯი, ფხიზელი გუშაგი
ჩვენი ლამაზი მთა-ბარის.

დიდი სამშობლოს დამცველი,—
ჩვენი სიმტკიცის კედელი,
ბრძოლებში გამარჯვებული,
მედგარი, შეუდრეკელი.

სამშობლოს საზღვრებს სდარაჯობს
ძლიერი, ბასრი მახვილით.
დიდი ლენინის გაზრდილი,
დიდი სტალინის გაზრდილი.

საბჭოთა არმიელია
ბრძოლებში შეუდრეკელი,
დინჯი, ფხიზელი გუშაგი,
ჩვენი სიმტკიცის კედელი.

რევაზ მარგიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4931

ბიბლიოთ

ი. ბ. სტალინი

ნახატი სტალინური პრემიის ლაურეატის,
სახალხო მხატვრის **უჩა ჯაფარიძისა**

საქართ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი შალვა ცხადაძისა

სალაშქროდ

ღამით წითელარმიელმა უწყება მოიტანა. განთიადზე კი, როცა ალკას ჯერ კიდევ ეძინა, მამამ მაგრად აკოცა და სალაშქროდ, ომში წავიდა.

დილით ალკას გული მოუვიდა: რატომ არ გამაღვიძეთო, და იქვე განაცხადა, რომ მასაც უნდა სალაშქროდ წასვლა. ალკა უსათუოდ გაჭირვეულდებოდა, ატირდებოდა, მაგრამ დედამ სრულიად მოულოდნელად, სალაშქროდ წასვლის ნება დართო.

და აი, გამგზავრებისათვის რომ ღონე მოეკრიბა, ალკამ მთელი ჯამი ფაფა შეჭამა და ზედ რძეც დააყოლა. შემდეგ კი დედასთან ერთად დაჯდა და ორივენი სალაშქრო საჭურველის მომზადებას შეუდგნენ. დედა მას შარვალს უკერავდა, ის კი იატაკზე დაჯდა და ფიცრისგან ხმალს თლიდა. იქვე, მუშაობის დროს, ისინი სალაშქრო სიმღერებს სწავლობდნენ, იმიტომ, რომ იმგვარი სიმღერით, როგორიც, „ნამვისხევ, ნამვისხევ“ არის — შორს ვერ წახვალ. არც ჭანგია და არც სიტყვებია შესაფერი, ასე, რომ, ეს სიმღერა ბრძოლისათვის შეუფერებელია.

მაგრამ აი, დედის სამუშაოზე წასვლის დრო დადგა და ამის გამო მათ თავიანთი საქმე მეორე დღისათვის გადასდეს.

ასე დღითიდღე ამზადებდნენ ალკას შორეულ მგზავრობისათვის, უკერავდნენ შარვლებს, ჰერანგებს, დროშებს და ალმებს. უქსოვდნენ თბილ წინდებს, ხელთათმანებს, ალკამ შვიდი ხმალი გამოთალა და თოფთან და დოლთან ერთად კედელზე დაჰკიდა. ამდენი მარაგი განა ზედმეტია?! — კარგ მხედარს ფიცხელ ბრძოლაში რამდენი ხმალი შემოატეხება!

აქამდისაც უნდა გამგზავრებულიყო ალკა სალაშქროდ, მაგრამ უცებ დაზამთრდა. ასეთ ყინვებში კი, ცხადია, ადვილად გაცივდებოდა და სურდოც შეხვდებოდა. ამიტომ ალკა მოთმინებით ელოდა თბილი მზის გამოჩენას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი, მზეც გამოჩნდა, თოვლმა დნობა დაიწყო და ის იყო ალკა სალაშქროდ შეიჯურვა, რომ ზარმა დაიწკრიალა და ოთახში მძიმე ნაბიჯით შემოვიდა ომიდან დაბრუნებული მამა. ჰირისახე გარუჯოდა, ქარისაგან ტუჩები დახეოქოდა, მაგრამ ცისფერი თვალები ძალიან მხიარულად გამოიყურებოდნენ.

იგი, რასაკვირველია, დედას გადაეხვია, დედამ კი გამარჯვება მიულოცა. მერე, რასაკვირველია, ვაჟიშვილიც გადაჰკოცნა. მერე, ალკას მთელი საჯურველი დაათვალიერა, გაიღიმა და უბრძანა,—სალაშქრო მოწყობილობა წესრიგში ჰქონდეს, იმიტომ, რომ დიდი ბრძოლები და ლაშქრობები ამ ქვეყანაზე ჯერ კიდევ ბევრი იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

ნახატი რ. სტურუახი

მის აკვანს ვეთაუვანები

ჯერ კბილი არ მომიცვლია,
ბაწაწინა ვარ, ბატარა,
ჩემი ლამაზი საძმობლო
ნეტავი შემომატარა!
კახეთის ზვრები მაჩვენა,
აჯარის ოქროს ბაღები,
კავკასიონზე აშლილი
ლრუბლების ბაირაღები!
მაგრამ რომ წამოვიზრდები,
ფეხს მაგრად დავდგამ მიწაზე,
ბირველად ვნახავ ქართლის გულს.
ოცნება მისკენ მიტაცებს.
ხურგს ჩანთას წამოვიკიდებ,
ხელში ავიღებ ეავარჯენს,
ჯერ გორს დავივლი ბირველად,
მერე კუთხეებს დანარჩენს.

ალბათ მიხვდებით რად ძიუვარს
მე ქართლის მზე და ყანები;
იქ დაიბადა სტალინი,
მის აკვანს ვეთაუვანები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

ნახატები გ. თაგორაშვილისა

შემთხვევა გემზე

ძველი მეზღვაური, თმაშეეერცხლილი კაპიტანი ხშირად მუხლზე დაისვამდა თავის შვილს თეიმურაზს და უამბობდა: პირველი მსოფლიო ომის დროს ჩემი ზარბაზანი ანადგურებდა გერმანელებსო. — გიორგი! ის სიმაგრე უნდა დაინგრესო, — მეტყოდნენ უფროსები.

ზარბაზნის მრისხანე ლულას შემოვუტრიალებდი, ყურებს ბამბით გამოვიტენიდი, დავუმიზნებდი, იგრიალებდა ზარბაზანი და ჯიშიანი ცხენივით ყალყზე შედგებოდა.

მეთაური დურბინდით გახედავდა მტრის ბუნაგს. მერე, სიხარულით გაიღიმებდა და თავისთვის ამბობდა:

— შენმა მარჯვენამ იხაროს, გიორგი!

თეიმურაზი სულგანაბული უსმენდა მამას და ეხვეწებოდა:

— კიდევ მიამბე, მამილო!

* * *

გავიდა რამდენიმე წელი.

ზღვის პირას, სადაც კაპიტანის ფიცრული, ლამაზი სახლი იდგა, ჯარის ნაწილი იყო განლაგებული. არმიელები საზენიტო ქვემეხებს შლიდნენ, ისევ აწყობდნენ, ხშირად სროლაშიაც ვარჯიშობდნენ. თეიმურაზი სკოლიდან რომ დაბრუნდებოდა, ქვემეხებთან ფუსფუსებდა, ყურს უგდებდა მეთაურის საუბარს, ქვემეხის ნაწილების სახელწოდებას იმახსოვრებდა. როცა მეთაური რომელიმე ჯარისკაცს ჰკითხავდა — ქვემეხის ამ ნაწილს რა ეწოდებაო, თეიმურაზი ჯარისკაცთან ერთა ამ ნაწილის სახელწოდებას ჩუმაც გაუბედავად იტყოდა. მეთაურ ღიმილით გადახედავდა თეიმურაზ ბოლოს მეთაურს ისე შეუყვარდ თეიმურაზი, რომ ერთხელ ქვემეხ სროლის უფლებაც კი მისცა. მარ თალია, პირველად სროლის დრო ორივე თვალი დახუჭა თეიმურა მა, მაგრამ მერე შეეჩვია.

* * *

სამამულო ომის დროს თეიმ რაზის მამას გემით ნავსადგურიდ ნავსადგურში ჯარი გადაჰყავდა.

ერთხელ მტრის თვითმფრინავებ ნავსადგური დაბომბეს. მაშინ თე მურაზი სკოლაში იყო. მიწა ირყეო და, ფანჯრები ზრიალებდნენ, ყუმბ რები საშინელი წივილით ეცემოდ ნენ და სკდებოდნენ. საზენიტო ქვ მეხები განუწყვეტლივ ესროდნ თვითმფრინავებს. მტრის თვით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მფრინავებმა ჩვენი თვითმფრინავები რომ დაინახეს, დაფრთხნენ და თავს უშველეს.

შეშინებული თეიმურაზი შინისაკენ გაეშურა. იქ, სადაც თავისი სახლი ეგულებოდა, ხალხს თავი მოეყარა. თეიმურაზი გაკვირდა თავისი სახლი რომ ვეღარ დაინახა.

სახლს ყუმბარა დასცემოდა, დაენგრია. ნანგრევებში თეიმურაზის დედა მოჰყოლოდა და დაღუპულიყო. თეიმურაზი ახლოს აღარ მიუშვეს.

ბევრი იტირა თეიმურაზმა.

* * *

კაპიტანს გემიდან ჩამოსვლისთანავე უთხრეს: მტერმა შენი სახლი დაანგრიაო, შენი მეუღლე დაღუპა, თეიმურაზი ნათესავებმა შეიფარეს და ახლა სკოლაში იქნებაო.

წარბშეკრული, თვალცრემლიანი კაპიტანი სკოლაში მივიდა, თეიმურაზი წამოიყვანა.

— სწავლა კიდევ გაქვთ? საზაფხულოდ როდის დაგითხოვენ შვილო?

— დღეს დაგვითხოვეს, მამა!

— სად იყავი როცა ჩვენი სახლი დაინგრა?

— სკოლაში.

კაპიტანს ხმა აღარ ამოუღია. გემზე აიყვანა თეიმურაზი და უთხრა:

— ვიდრე. სწავლა დაიწყებოდეს, ჩემთან იქნები, შვილო.

* * *

გემი ზღვას მიაპობდა და დაჭრილი წითელარმიელები მიჰყავდა. კაპიტანი გიორგი ხან ზღვას აკვირდებოდა — წყალქვეშა ნავი ხომ არ მოგვდევსო, ხანაც ცას ათვალიერებდა — მტრის თვითმფრინავი ხომ არსად გამოჩნდაო.

— გახსოვდეს, თვალი ადევნეთ წყალქვეშა ნავს, — მიმართა მან თავის თანაშემწეს. მერე თეიმურაზს მიუბრუნდა: შენ რაღა გინდა აქ, შვილო, შედი ჩემს კაიუტაში.

ბინდდებოდა. კაპიტანს მოახსენეს მტრის თვითმფრინავები გვიახლოვდებიანო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— საზენიტო ქვემეხებთან!—გასცა კაპიტანმა ბრძანება.

გემბანზე დადგმულ ორ საზენიტო ქვემეხთან რამდენიმე კაცმა მიირბინა, ყუმბარები შეაწყვეს ქვემეხებში, საბრძოლველად მოემზადნენ.

ორი თვითმფრინავი პირდაპირ გემისაკენ მოფრინავდა. გემს დაუპირდაპირდნენ, დაეშვნენ, ყუმბარები ჩამოჰყარეს. საზენიტო ქვემეხები აგუგუნდნენ. გემი შეირყა, ზედ ცეცხლი ავარდა. გემბანზე კვლავ გასკდა ყუმბარა და გემის ბოლო ცეცხლსა და კვამლში გაეხვია. საზენიტო ქვემეხები დადუმდნენ.

თვითმფრინავები გაფრინდნენ. მეზღვაურებმა ცეცხლი ჩააქრეს.

— კიდევ მოფრინავს ერთი! — დაიყვირა ბოცმანმა.

— საზენიტო ქვემეხებთან!—გაისმა კაპიტანის ბრძანება.

ბოცმანმა კაპიტანს შეხედა და ხელი გაიშვირა ქვემეხებთან დახოცილ ადამიანებისაკენ. — კაცი აღარ არის, რომ ქვემეხის სროლა იცოდეს,—თავისთვის ჩაილაპარაკა.

თვითმფრინავი სულ ახლოს იყო.

საშინელი ტკივილი გამოიხატა კაპიტანის სახეზე.—ათასი დაჭრილი წითელარმიელი უნდა დაღუპოს ამ სვავმაო; გაიფიქრა, მიატოვა საკაპიტნო ბოგირი და საზენიტო ქვემეხისაკენ გაეშურა თანაც თვითმფრინავს თვალს არ აშორებდა. ამ დროს საზენიტო ქვემეხის ლულიდან ცეცხლის ალი ამოვარდა გრუხუნით.

ალმოდებული თვითმფრინავი ცხვირით ჩაიჭრა ზღვაში. ათრთოლებულმა კაპიტანმა ოფლი მოიწმინდა შუბლიდან, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რომ ქვემეხის მსროლელი დაენახა. ჯერ სუნთქვა შეეკრა, გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა, მერე გაიღიმა, რატომღაც ცრემლი მოადგა თვალზე.

ქვემეხთან მისი შვილი თეიმურაზი იდგა.

მაყვალა მრევლიშვილი

ნახატი **გ. ჩირინაშვილისა**

ნახიმოველები

ერთი, ორი!—
მოდის მწყობრი,
კოხტად მოაბიჯებს,
მეც ფეხდაფეხ ავედევნე
მწყობრში ჩამდგარ ბიჭებს.

—ეს ბავშვები ვინ არიან?—
ერთხელ ვკითხე მამას;
—„ნახიმოველს უწოდებენ
ბიჭს, ზრდილსა და მამაცს.

ზღვის არწივებს გამოგვიზრდის
მეზღვაურთა სკოლა;
იქ სწავლობენ გემის მართვას,
ზარბაზნების სროლას.“

—ერთი, ორი!—
მოდის მწყობრი,
კოხტად მოაბიჯებს,
მეც მწადია დავემგვანო
მწყობრში ჩამდგარ ბიჭებს.



რუსთაველის მშენებლობაზე

ნახატი ვლ. ტორტოლაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელენე ილინა

ნახატი მამაისა

ზღაპარი დიდსა და მცირე ხმაურზე

ქვეყანაზე ბევრნაირი ხმაური არის, მაგრამ ყველა ხმაურმა კი არ იცის თავისი ადგილი. აი, მაგალითად ტყის ხმაური—ხეებში ცხოვრობს და ფოთლებში შრიალებს. ზღვის ხმაური – ნაპირებზე ტალღებში გუგუნებს; არსებობს კიდევ თავხედური ხმაური, იგი მუდამ იქ გაჩნდება, სადაც საჭირო არ არის: თეატრში, სკოლაში. ჯერ თითქოს პატარაა,—ვერც კი ამჩნევ, ისე წრიალებს. შეჰხედავ და ისე გაზრდილა, ჭერქვეშ აღარ ეტევა, აუტანელ ხმაურობად გადაქცეულა.

ერთხელ, დასვენებაზე მასწავლებელი ბიბლიოთეკაში ჩავიდა წიგნების ამოსატანად. დერეფანში მისი პირველკლასელი მოწაფეები დარჩნენ. მორიგეებმა ჯგუფი კლასში შესაყვანად დაამწკრივეს.

დაეწყვეთო — ყვირიან.

არავინ უსმენს. ერთიმეორეს ხელსა ჰკრავენ; აი, აქ გამოძვრა პატარა ხმაურობა და ბავშვებში ჩაიმალა. კლასში შესვლამდე ხმაურმა იმატა და ისე გაიზარდა, რომ თავი ჭერს მიაბჯინა და დერეფანში ველარ დაეტია.

დიდი ხმაურით შეირბინეს ბავშვებმა კლასში, დიდი ხმაურით დასხდნენ მერხებზე, ერთი ყვირის, სხვები ყაყანებენ, ზოგი საუზმეს შეექცევა, დანარჩენებს პირზე მუჭები საყვირივით დაუჭერიათ და გაჰკივიან.

ისე გაიზარდა თავხედი ხმაური, რომ ყველას თავი გაუბრუვდა. ცხადია, სადაც დიდი ხმაურია იქ გონება ველარ იმუშავებს.

ამ ხმაურის გამო, ბავშვებმა ვერც კი გაიგეს, როგორ შევიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასში მასწავლებელი, რომელსაც ხელში წიგნები ეჭირა. წამოხტნენ ბავშვები, მაგრამ გვიანღა იყო...

მასწავლებელმა შეხედა მათ და უთხრა:

— ეს რა ხმაურია?! სიჩუმე იყოს!

და როგორც კი თქვა „სიჩუმე“! დიდი ხმაური მოიკუზა, მოიკუნტა, სულ დაპატარავდა, მაგრამ მაინც კლასში დატრიალებს.

ხან ერთ მწკრივს ჩაურბენს, ხან მეორეს, ხან მესამეს.

მასწავლებელი ამბობს: „ჩუმად!“

ბავშვებიც ერთმანეთს მიმართავენ:

— ჩუმად!

— ჩუმად!

ხმაურსაც ეს უნდა, რაც უფრო მეტად სდევნიან, მეტად ხმაურობს.

მაშინ, მასწავლებელმა თავი გაიქნია, კლასს გადახედა და თქვა:

— მე კარგი ბავშვები მეგონეთ და თქვენთვის კარგი წიგნებიც შევარჩიე, თქვენ კი ხმაურით შემხვდით.

— ჩვენ არ ვხმაურობთ! — უპასუხეს ბავშვებმა,—ჩვენ მხოლოდ ერთმანეთს ვაჩუმებთ.

— ჰო და არ უნდა დააჩუმოთ. აქ ორმოცი ბავშვი სხედხართ, ყველამ რომ „სიჩუმე“ დაიძახოს, ამისაგან სიჩუმე კი არა ხმაურობა იმატებს. მიხვდით?!

ბავშვებმა თავი დაუქნიეს.

— მაშ, მოდით, ახლა ზღაპარი წავიკითხოთ!

ბავშვებმა წიგნი გადაშალეს და ზღაპრის კითხვას რიგრიგად შეუდგნენ. ერთი კითხულობს, სხვები უსმენენ. საინტერესო ზღაპარია!

მიწყნარდნენ ბავშვები. სიჩუმეა; სულ გაიპარა კლასიდან ხმაური. ისე დაპატარავდა, რომ კლასის კარში გასალების ჭუჭრუტანიდან გაძვრა. წავიდა და დერეფნის ბოლოში პალტოების გასახდელთან მიიკუნტა, ქუდების ქვეშ ჩაიმალა. ახლაც იქ არის. ბავშვები თუ კლასში არიან ის ვისიმე პალტოს სახელოში თვლემს,ჩამოირბენენ თუ არა ბავშვები ჩასაცმელად, მიჩუმებული ხმაური გაიზრდება, თავს ჭერამდე ასწევს და ახმაურდება.

მაგრამ ამბობენ, რომ ხმაურს მალე იქიდანაც გააგდებენ.

ილია სიხარულიძე

ევკალიპტი

ევკალიპტის შრიალა ხე
ჩვენში მოუშენებიათ,
გრძელ, ხასხასა ვიწრო ფოთლებს
როგორ დაუმშვენებიათ;
ხარბად იწოვს წყალს მიწიდან
და ტოტებს შლის მაგარ მხრებად,
ჰაობების დაშრობაში
ადამიანს ეხმარება.
მან ზრდა იცის სწრაფად, ხარბად,
თან მკვრივი აქვს ხეს მერქანი;
როგორ შვენის ევკალიპტებს
ქერქშეცლილი თეთრი ტანი.

ნაწნავივით ჩამოშლილი
ფოთლები ქმნის მწვანე კარავს,
ავდარში თუ შეეფარე,
წვიმისაგან ვერ დაგფარავს;
წვიმის წყალი მის ფოთლებში
ღაპა-ღუპით გაიცრება.
ტოტებს შეშად იყენებენ
და მერქანს კი — თეთრ ფიცრებად.
ჩვენს სამშობლოს შეეგუა,
თესლმრავალი — თესლით მრავლობს,
ქერქისა და ფოთლებისგან
ზეთს იძლევა სამკურნალოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ქორელი

ქედა

ხინჩლა თორმეტი წლის სოფლელი ბიჭი იყო. მას ჯოგის ვეებერთელა ძაღლი ქედა ჰყავდა. ჭკვიანი და კარგად გაწვრთნილი იყო: ცხვარს დარაჯობდა და საღამოს შინ მიერეკებოდა. ეზოში უცხოს არავის არ შეუშვებდა. საჭმელს მხოლოდ ხინჩლას ხელიდან იღებდა და ბიჭს ყველგან კვალდაკვალ მისდევდა.

— სდექ! — ეტყოდა თუ არა ხინჩლა, ქედა უკანა თათებზე დადგებოდა. — თათი! მარჯვენა თათი! — ძაღლი ოდნავ დაფიქრდებოდა და მარჯვენა თათს გაუწოდებდა. ხინჩლა კალათს დაუდგამდა, შიგ პური, ყველი და ხახვი ეწყო, — ქედავ! ძია ი-ო-რამს ყა-ნა-ში წაუღე, გესმის?!

ქედა კალათის სახელურს კბილს მოავლებდა და წაიღებდა, შემდეგ ცარიელ კალათს მოიტანდა. ხინჩლა ტყეში ფიჩხს მოაგროვებდა, სამ კონად შეკრავდა. ორს ქედას გადაჰკიდებდა, ერთს — თვითონ აიკიდებდა. თვითონ ხინჩლა მარჯვე და ჭკვიანი იყო, მაგრამ მეტად მოუსვენარი. ერთხელ ორჩოფეხები გაიკეთა და ყველგან ისე დადიოდა. ქედაც მხიარული ყეფით მისდევდა. ძია იორამი აფრთხილებდა:

— ეგ ორჩოფეხი რად გინდა, ბიჭო? ჯამბაზი, ან ბერიკა ხომ არა ხარ! კისერს მოიტეხ!

ნახატები **გ. ჩარინაშვილისა**

— სიჩქარისათვის მინდა, ძია! — ორჩოფეხებით უფრო დიდ ნაბიჯებს გადავდგამ და სიარულში იორლა ცხენსაც არ ჩამოვრჩები!

ერთხელ ხინჩლა სოკოს საკრეფად ტყეში წავიდა, ქედაც გაჰყვა. ორი კალათი გაავსო. ერთი — ქედას მისცა, მეორე — ზურგზე მოიკიდა, ორჩოფეხებზე შედგა და შინისაკენ წასვლა დააპირა. სოფელი საკმაოდ შორს იყო და ხინჩლამ იფიქრა მოკლე გზით წავალო, ხევის დაღმართის ვიწრო ბილიკზე რამოდენიმე ნაბიჯი გაიარა, ნაწვიმარი იყო, ორჩოფეხი გაუცურდა, თავი ვერ შეიმაგრა და ხევის ძირზე ჩაგორდა. ფეხი ცუდად მოუბრუნდა და ძალიან ეტკინა. ქედა მივარდა, კალათი ფრთხილად დადგა და გაკვირვებით მიაშტერდა, მერე დაყნოსა და შეჰყეფა, თითქოს ჰკითხა: რა მოგივიდაო?

— ეე, მეგობარო... მგონი ფეხი მოვიტეხე... ძლიერ მტკივა და ვერ ავმდგარვარ. ღამდება და, თუ დავრჩი, ან მგელი მეცემა ან დათვი... გესმის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქედამ თანხმობის ნიშნად კუდი გააქნია.

—ქედავ, მიშველე! ძია იორამი მომიყვანე... ი-ო-რა-მი, გესმის!

ქედა წუთით დაფიქრდა და შურდულივით შინისაკენ გაიქცა, იქ, ქოხში იორამს მივარდა, მერე ეზოში გავარდა, შემდეგ ისევ ქოხში, თითქოს ანიშნებდა: წამომყევიო, სირბილისაგან ქშინავდა და პირზე ქაფი ჰქონდა. იორამი შეწუხდა და იქვე მყოფ მეზობელს უთხრა:

—რა ვქნა!.. ამ ძაღლს რაღაც მოსდის.. ცოფი ხომ არ შეეყარა? სჯობია მოვკლათ, თორემ!...—და თოფი გადმოიღო. მაგრამ მეზობელმა შეაჩერა:

—ცოფიანს რა უგავს, ალბად რაღაც ამბავია!

ახლა ქედა იორამის ჩოხის კალთას მიებღაუჭა, ეწეოდა.

—ხინჩლა ხომ არ მოსულა?—იკითხა მეზობელმა.

—არა!..—ხინჩლას დასახელებაზე ქედა აყეფდა და ისევ კალთას მიებღაუჭა.

—გავყვეთ, იორამ! ჩანს, ხინჩლას რაღაც მოუვიდა და ძაღლი გვატყობინებს.

წაიღეს თოფი, ცული, სანათური და ქედას გაჰყვნენ. ხევის თავზე ქედა აყეფდა. ხევიდან ხინჩლამ ხმა მისცა:

—აქა ვარ, ძია... ჩამოდი! ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეს, თორემ!..

ჩავიდნენ, მიანათეს... ხინჩლა წევს, ფეხი ვერ გაუნძრევია... საკაცე გააკეთეს... წაიყვანეს. ქედა ჯერ მხიარულად თავს დასტრიალებდა, შემდეგ ჩუმად უკან მიყვებოდა. ხინჩლას ფეხი ნაღრძობი აღმოჩნდა. დააწვინეს, დაუზილეს, მალამო წაუსვეს.

—შე მოუსვენარო, შენა! ესეც შენი ორჩოფეხები!.. ხომ ხედავ!..

—ი... ორჩოფეხები რა შუაშია? ნაწვიმარი იყო და იმიტომ...

—ეჰ, თავის ნათქვამი ხარ და რა გითხრა! ეს ვინ მოიტანა?—იკითხა ძიამ და სოკოთი სავსე კალათას შეხედა. ხინჩლამ შეხედა და, მიუხედავად ტკივილისა, გაიცინა.

—ჩემო ერთგულო, ჩემო ჭკვიანო ქედავ!.. ახლოს მოდი...

ქედა მივიდა, თათი საბანს დაადო, ხინჩლამ კი ხელი ალერსიანად გადაუსვა.

—ხედავ, ძია? ეს კალათი ქედას მივაბარე, შინ წაიღე მეთქი. ხევში დაუტოვებია, ახლა მოაგონდა და მოიტანა. გემრიელი ვახშამი გვექნება ძია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცქვიტი

ნახატები ან. კანდელაკისა

ზღარბის თავგადასავალი

ხშირი ბუჩქებიდან, სადაც ზღარბს სორო ჰქონდა, პატარა ზღარბები გამოსულიყვნენ და აქეთ-იქით მოუსვენრად იცქირებოდნენ; მესამე დღეა, რაც მათი დედა სახლში აღარ დაბრუნებულა და დაობლებული ზღარბები ბალახების და ფოთლების ყოველ შენძრევაზე გაფაციცებით იქით იხედებოდნენ, საიდანაც ოდნავი შრიალი მოესმოდათ.

—მაშ რა ეგონა დედათქვენს! — ნიშნის მოგებით შესძახოდნენ აქეთ-იქიდან ჭიაღუები. — ჩვენს მოდგმას მუსრი რომ გაავლო; მატლები, ბოსტანა, თაგვები და მწერები რომ მოსპო ამ მიდამოზე, მარტო თვითონ უნდოდა ხილით სავსე ბაღ-ბოსტნებს დაჰპატრონებოდა?!

ვაზის ბაყაყებს და ქვემძრომებს პირი დაეღოთ და თავიანთი მითქმა-მოთქმით იქაურობას აყრუებდნენ.

— ავი იყო, და ავს ავი დღე მოელისო, — გაიძახოდნენ წრუწუნებიც.

— რაღას იზამდნენ საწყალი ობოლი ზღარბები? უდედოთ მტერი ბევრი აღმოაჩნდათ და მათი მოსარჩლე არავინ იყო.

— ნეტავი ასეთი უბედურები არ გავჩენილიყავით! ეკლები რომ გვასხია იმიტომ ვეჯავრებით ყველას. — ასე ჩიოდნენ პატარა ზღარბები.

ცა მოიღუშა. შავ ღრუბლებში ელვა ცეცხლისფრად დაიკლაკნა, ყველა მწერი და ფრინველი თავის ბუნაგში დაიმალა. ზღარბებმა გადაწყვიტეს რომ მათი დედა, ნადირობის დროს, ალბათ, სადმე დაიღუპა და ის იყო სოროსაკენ დასაბინავებლად პირი იბრუნეს, რომ უცებ ბალახების შრიალი მოესმათ და გაინაბნენ. წუთის შემდეგ, მათ ახლოს, ტანწერწეტა ყვავილი შეირხა, — ზღარბებმა იქით გაიხედეს და სიხარულით წამოიძახეს: ჩვენი დედა მოდისო, — გაქანდნენ და შეეგებნენ.

— ხომ კარგადა ხართ შვილებო! — მიმართა დედა ზღარბმა პატარებს. — მჯეროდა უვნებლად დამიხვდებოდით; გასწით, სახლში შემიძეხით, ეს გემრიელი ტვირთი ჩქარა ჩამომხსენით, თორემ ძლიერ დავიღალე.

ზღარბები ბუჩქებქვეშ შეძვრნენ და რბილად მოწყობილ სოროსაკენ გაეშურნენ. დედაც უკან მიჰყვა ბუდეშურის მსხვილი მარცვლებით ზურგაჭრელებული. დაღლილი დედა ზღარბი სოროში მხარზე წამოწვა და დაიწყო:

— რომ იცოდეთ, შვილებო, რა საშინელი ამბავი დამატყდა. მეგონა თავს ვერ დავაღწევდი, მაგრამ ეშმაკობით მაინც ვაჯობე. გუშინწინ, საზრდოს მოსატანად რომ გავემგზავრე, ნაფუზარს გავცდი თუ არა, — ისეთი გემრიელი სუნი მეცა, რომ კინაღამ დავიბენი. მსხლის ქვეშ რომ მივედი, იქაურობა მწიფე ბორბალათი იყო მოფენილი, ზურგზე იმდენი ამესხმოდა, სიმძიმით სახლამდე ველარ მოვაღწევდი. ის იყო უნდა გავგორებულიყავ, რომ უცებ გამალებული ყეფა მომესმა. სახლის კიბიდან, ძაღლი გამოქანდა და გაბმული ყეფა ატეხა, გეგონებოდათ: ერთი საწყალი ზღარბი კი არა მთელი ქვეყნის ავაზაკები თავს დასხმიანო. მე ბალახებში საცოდავად გავინაბე, მეგონა ჩამომეცლება მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, — ყეფას უფრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმატა. სახლის აივანზე სამი ყმაწვილი იწვა თურმე. იმ ყეფაზე ყველა ერთად წამოვარდა. ერთმა მათგანმა დაუსტვინა და ძაღლი უარესად გააგულისა, მეორემ თოფს ხელი დაავლო და რიხიანად შემოძახა:

—აბა, თუ ბიჭი ხარ, ერთ წამს დადექი მანდო! — მისმა თოფის გრიალმა, იქაურობა გააყრუა. ატყდა ბალახების შრიალი, ღობეებს ლაწალუწი აუყენეს. ქურდებს ეძებდნენ, მე კი ბუერას ფოთლებქვეშ ვიყავი ჩამალული, მთელი ვენახი შემოირბინეს, მაგრამ რას მიპოვნიდნენ?!

ყმაწვილები ლოგინებში ჩაწვნენ თუ არა, ვიფიქრე: ეს არის, დაწყნარდნენ მეთქი და ოდნავ გავინძერი, მინდოდა სახლში მშვიდობით დავბრუნებულიყავ, მაგრამ ყურმახვილმა ძაღლმა, რომელიც ჩამსაფრებოდა, კვლავ ყეფა ატეხა. ყმაწვილები გაჯავრდნენ, ლოგინიდან ბუზღუნით წამოცვივდნენ, შუქი აანთეს და სადაც ძაღლი ყეფდა, იქ მოვიდნენ.

— რა ამბავია, ეს სამგლე ლამის გადაირიოს. ეჰეი, რომელი ხარ! — იყვირეს მათ, ფეხით ბუერას ფოთოლი გაქექ-გამოქექეს და სანათის შუქზე სიცილი აუტყდათ.

— აი, შენა და, შენს თავსა, ზღარბია, ბიჭო, ზღარბი, — წამოიძახა ერთმა მათგანმა; თოფის კონდახით გადმომაგორა თუ არა, — მოუსვენარი ძაღლი მეძგერა, მაგრამ ჩემი ნემსები რომ იგემა, — სულ გადაირია, წკმუტუნი ატეხა, პირიდან სისხლი მოსდიოდა, მაგრამ მაინც არ მეშვებოდა. ყმაწვილები ძაღლს ამშვიდებდნენ, შორს აგდებდნენ, ის კი ჩემს ოდნავ განძრევაზე ისკუპებდა და გაბრაზებული თავს დამტრიალებდა, მაგრამ აბა ეკლებიან ბურთს რას დააკლებდა. ბოლოს, რომ ვერა გააწყეს რა, ნიჩბით ამწიეს, ძველ ქვაბქოთანაში ჩამაგდეს და სახლში წამიღეს.

—ეე... ეს არის დავიღუპე მეთქი, — გულში გავივლე და უარესად მოვიბუზე. ამ ხმაურობაზე სხვა ბავშვებსაც გაღვიძებოდათ და ჩემი სახელი რომ ახსენეს, — საცვლების ამარა წამოცვივდნენ და ერიამული ატყდა.

იმ ღამეს პირქვე დამხობილ ქვაბქოთანას ქვეშ შემსვეს. რომ იცოდეთ, შვილებო, რა ტანჯვაში ჩავვარდი; უჰაეროდ სული შემეხუთა, მაგრამ გადავწყვიტე: უნდა როგორმე გავიპარო მეთქი. ჯერ წელში გავიშალე, მერე ქვაბს ერთი მხრივ მაგრად მივაწექი და გული სიხარულით ამევსო, როცა ქვაბი გაინძრა. ქვაბის პირი ეკლებით ზევით ავიტანე, თავი გამოვყავ და ხარბად დავიწყე სუნთქვა. — გადავრჩი

მეთქი, ვიფიქრე და დრო შევურჩიე. ყველამ რომ ხვრინვა ამოუშვა ქვაბი ხელმეორედ სხეულით უფრო ზემოდ ავწიე და გამოვძვერი, ძაღლისა კი ძლიერ მეშინოდა, ყეფა არ ამიტეხოს და არ დამღუპოს მეთქი, მაგრამ ჩემს ბედზე დაღლილი ძაღლი სხვა უბანში გაქცეულიყო. რაკი ქოთნის რახუნს და ჩემს მოძრაობას ხმაური არ გამოუწვევია, გამეხარდა, კიბეზე ფრთხილად ჩამოველ და ისე გამოვიქეცი, რომ გზაში ვერაფერი შემაჩერებდა. ჩემს არემარეს რომ მოვუახლოვდი, კარგ გუნებაზე დავდექი, ზვარში რომ შემოველ, დავინახე, რომ ნიავისაგან ორი ფოთოლი კოხტად ცეკვავდა. მეც გავშალე თათები, ჩამოვუარე, მერე დამკრახულ ყურძენს ვესტუმრე, ორივე თათებით ტკბილი ბუდეშური ჩამოვმარცვლე, მერე გავგორდი და გამოვგორდი, ყურძნის მარცვლებით ზურგი მოვიქარგე და თქვენსკენ გამოვწიე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუნების კარი

ვეშაპი

ვეშაპი ზღვებში და ოკეანეებში ცხოვრობს. იგი ყველაზე უდიდესი ცხოველია დედამიწის ზურგზე. ვეშაპი ოცდაათჯერ დიდია სპილოზე. გარეგნულად ვეშაპი დიდ თევზს წაგავს. თუმცა წყალში ცხოვრობს, მაგრამ ცხელი სისხლი აქვს. შვილებს რძით ჰკვებავს და სუნთქავს ჰაერით. საათში სამჯერ მაინც აუცილებლად ამოდის სიღრმიდან, გასცურავს და ისე მძლავრად ამოიქშენს, რომ ერთ კილომეტრზე გაიგონებთ. ამ უშველებელ ცხოველს ისეთი სიძლიერით ამოხეთქავს ხოლმე ჰაერი ფილტვებიდან, რომ ზღვის ზედაპირზე მაღალ შადრევანს აჩენს.

აი, სწორედ ამით სარგებლობს ვეშაპსანადირო გემი. როგორც კი შეამჩნევს ვეშაპის შადრევანს—სწრაფად გასცურავს მისკენ და იწყება არაჩვეულებრივი ნადირობა.

როდესაც ვეშაპს გემბანზე აიტანენ, სწრაფად აამუშავებენ სხვადასხვა მანქანებს, სადაც იჭრება და ხარისხდება ხორცი, ცხიმი და ძვლები.

ორ საათში ამ დიდი ცხოველისაგან გემზე აღარაფერი რჩება. სამაგიეროდ გემის საწყობს მოემატა ათასობით კილოგრამი ძვირფასი ვეშაპის ქონი, ასობით ყუთი გემრიელი კონსერვი და ათობით ტომრები საკვები ფქვილი საქონლისათვის.

(„მურზილკადან“)

ვარხვი

საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

მე მქვია ვარხვი. ზოგი თევზიყლაპიასაც მეძახის, იმიტომ რომ თევზით ვიკვებები. ჩვენ, ვარხვები გარდა ცივი ქვეყნებისა, ყველგან ვცხოვრობთ: საქართველოში, აზერბაიჯანში, ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში და სხვაგანაც, სადაც ზღვა და მდინარე არის. გუნდებად ვცხოვრობთ. ბუდეს ვიშენებთ ზღვის, ან დიდი მდინარის პირას. შვილებს თევზებით ვკვებავთ, როგორც მოგეხსენებათ ახლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭერილი თევზი სველია, ამიტომ ჩვენი ბუდეც მუდამ სველია. შიგ ორ-სამ კვერცხს ვდებთ. მე და მამა ვარხვი რიგ-რიგობით ვათბობთ. ბარტყები რომ გამოიჩეკებიან ორივენი ვუვლით.

ჩვენი ფართე ნისკარტით ძალიან გვეხერხება თევზის ჭერა. ქვედა ნისკარტზე მიმაგრებული გვაქვს დიდი, ძარღვიანი შეკუმშული ტომარა. თევზს რომ დავიჭერთ ტომარა იწელება და შიგ ვაგდებთ, ზევიდან კი ხუფივით ვახურავთ ზედა ნისკარტს, რომ არ ამოხტეს; ასე მიგვაქვს საკვები შვილებისათვის.

ჩინეთში ვარხვებს თავის სასარგებლოდ ამუშავებენ. დაიჭერს ჩინელი ვარხვს, დაბამს გრძელი კანაფით ტივზე და სწრაფად გადაუშვებს წყალში. ვარხვი მაშინვე დაიჭერს თევზს, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ჩინელმა დააცალოს. მეხეშეჭმა, გამოსწევს კანაფს, ამოიყვანს ტივზე, წაართმევს თევზს და ისევ გადაუშვებს წყალში.

ვარხვებმა გასაჭირში ერთმანეთის დახმარება ვიცით. ზოგი ადამიანი ამით სარგებლობს. დაიჭერს ვარხვს და ხეზე მიაბამს. ვარხვს რომ მოშივდება, ყვირილს დაიწყებს. ჩვენც დავფაცურდებით, საჩქაროდ დავიჭერთ თევზს და მივურბენინებთ. ახლომახლო დამალული კაცი მივარდება და იმ თევზს თავისთვის წაიღებს. ვარხვი კი ისევ გვატყობინებს ყვირილით, მშიერი ვარო, და ჩვენც ისევ უნდა მივუტანოთ.

აი, ჩემი სურათიც. დააკვირდით, ფეხები აპკიანი გვაქვს, ტანი კი ნავის მოყვანილობისა, ისე, რომ წყალში ცურვა გვეადვილება.

ნინო ნაკაშიძე

თხილამურებიანი კაკბები

განაპირა ჩრდილოეთში, ზამთარში ძალიან დიდი თოვლი მოდის. ადამიანი გზიდან გადაუხვევს თუ არა, წელამდე თოვლში ჩაიფლობა. ტუნდრაში ამ დროს უთხილამუროდ გავლა შეუძლებელია.

მაშ როგორღა ცხოვრობენ აქ ზამთარში „ქვეითი ფრინველები“—თეთრი კაკბები? თურმე იმათაც აქვთ თხილამურები, თუმცა მთლად ისეთები კი არა, როგორსაც ადამიანები ხმარობენ:

ზამთრის პირზე, თეთრ კაკბებს თითებზე გრძელი და სქელი ბუმბული ეზრდებათ,—ეს ბუმბული მათ თხილამურის მაგივრობას უწევს.

კაკბები ფხვიერ თოვლზე მშვენივრად დადიან და შიგ ჩაფლობისა არ ეშინიათ.

ნ. უსტინოვიჩი

ენის გასატეხი

*

თეთრი ფატის თეთრი ბატი
ფრთათეთრი და ფრთაფარფატი.

*

ნიორი ნანიორაღში,
რიონი ნარიონაღში.

*

თოქაღთო დავათოქაღთე,—
დათოქაღთოებუღია.

შეკრებილი **ნინო ნაკაშიძის** მიერ

ხალხური გამოცანები

1. ერთი რამ უცხო ყმაწვილი
შორს წაიყვანა ბიძამა,
იქ ნათესავი გაუჩნდა,—
იშვილა დედამ სხვისამა,
ისე გაზარდა ძიძამა,
რომ ველარ იცნო ბიძამა.

2. თეთრი რამ შავზე დახტოდა,
სტოვებდა თეთრსა კვალსაო,
კვალშივე ედგა ყმაწვილი,
არ აშორებდა თვალსაო.

შეკრებილი **ან. ახალშენიშვილის** მიერ

საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკა

144/445

ნუ დასცინი სხვასაო...

ДИЛА ... КАБ БИБЛИОТЕКА
ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიმუნმა დაცინვით ასე უთხრა დათვსაო:
—რა მოგსვლია, ძმობილო, რატომ ნაბავ თვალსაო?
აღარც მხიარული ხარ, არც იღერებ თათსაო,
მშვენიერი სიცხეა, რად არ იღებ ხმასაო?
ყინულებით იგრილებ ამ ზაფხულში თავსაო,
მითხარ, რატომ იწუნებ, ამ საამურ დარსაო?!

ზამთარში კი დათუნამ გაიხარა გულითა,
ყინულებზე ცურავდა, ირგვლივ ბუქნას უვლიდა.
მიუბრუნდა მაიმუნს: —რა მოგსვლია, რა იყო!
მობუზული რად ზიხარ, ხომ არ გცივა ძამიკო?
აღარ ცელქობ, ჩუმად ხარ, რად არ იღებ ხმასაო?
ნუ დასცინი სხვასაო, —გადაგხდება თავსაო!

პირველი გვერდის მხატვრობა **ვლ. ტოროტაძისა**

პასუხისმგებელი რედაქტორი **რ. მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია: **გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, ვაჟვ. მრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფეძოშვილი, შ. ცხადაძე.**

გამომცემლობა „კომუნისტი". რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 სართ. ტელ. 3-81-85
გამომცემლობის შეკვ. № 20 სტამბის შეკვ. № 122/453 ტირაჟი 7000 უე 00961 **ფასი 5 მან.**

ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკას" სტამბაში, თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42